№1169 2015 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**